სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№ 6 (384) ივნისი, 2025 წელი

წერილები Alma-Mater-ს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები მშობლიურ უნივერსიტეტს აფასებენ... გვ 4–6

Times Higher Education
Impact Rankings 2025

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, Times Higher Education Impact Rankings 2025 (SDG3)-ის მიხედვით, მსოფლიოს ტოპ 201-300 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის მოხვდა.

წელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით 130 ქვეყნის 2526 უნივერსიტეტი შეისწავლეს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა ერთ-ერთი საუკეთესო პოზიცია დაიკავა SDG3-ის – ჯანმრთელობის და კეთილდღეობის მიმართულებით, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თსსუ-ის წვლილს გლობალური მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.

უნივერსიტეტების რეიტინგი მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესრულების შედეგების მიხედვით მომზადდა. შეფასება თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგის სისტემით – Times Higher Education Impact Rankings 2025 (SDG3)– მოხდა.

„ბედნიერი ვიქნები თუ ჩვენი კურსდამთავრებულები არ მოწყდებიან უნივერსიტეტს და ერთად გავაგრძელებთ ჩვენი Alma-Mater-ის განვითარებისთვის ზრუნვას. როგორც ვთქვი, ბევრი რამ უნდა დაიხვეწოს, განვითარდეს, გნებავთ – შეიცვალოს!“ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ირაკლი ნატროშვილი**

გვ 3

კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული და მოხალისეობრივი ღონისძიებების – „სტუდფესტი – 2025“-ის პირველი ეტაპი დასრულდა. თსსუ წარმატებით ასპარეზობს როგორც სპორტულ შეჯიბრებებში, ისე – შემეცნებით/ინტელექტუალურ თამაშებში.

თსსუ-მა მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია და საპრიზო ადგილები დაიკავა. თსსუ-ის სტუდენტებმა განათლებისა და სპორტის მიმართულებით 3 ოქროს, 6 ვერცხლის და 10 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

გვ 2

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია WFME-ის მსოფლიო კონფერენციაზე

მიმდინარე წლის 25-28 მაისს ბანგკოკში (ტაილანდი) გაიმართა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მსოფლიო კონფერენცია (WFME World Conference 2025) თემაზე – „ჯანმრთელობა ყველასათვის – ხარისხიანი სამედიცინო განათლების მეშვეობით“.

კონფერენციაში მონაწილეობდა 92 ქვეყნის 1000-მდე წარმომადგენელი, მათ შორის საქართველოდან – 30-მდე დელეგატი.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა პლენარული სხდომები, სიმპოზიუმები, ვორკშოფები; წარმოდგენილი იყო ზეპირი და პოსტერული მოხსენებები, რომლებიც მოიცავდა თანამედროვე სამედიცინო განათლების ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მომავლის ექიმების მომზადება, ხელოვნური ინტელექტის როლი სამედიცინო განათლებაში, აკრედიტაციისა და ხარისხის განვითარების გლობალური სტანდარტები, სოციალური ანგარიშვალდებულება სამედიცინო განათლებაში და სხვა.

კონფერენციაში მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) დელეგაცია, თსსუ-ის რექტორის, პროფესორ ირაკლი ნატროშვილის, ხელმძღვანელობით.

თსსუ-ის წარმომადგენლებმა გამართეს მაღალი რანგის შეხვედრები სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტ რიკარდო ლეონ ბორხესთან, ვიცე-პრეზიდენტ ჟენევიევე მოინეუსთან და WFME-ს ხელმძღვანელ პირებთან. ასევე, გაიმართა სამუშაო შეხვედრები ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (AMSE) პრეზიდენტ ჰარმ პიტერსთან და AMEE-ის აღმასრულებელ დირექტორ ანე ლოიდთან. საერთაშორისო პარტნიორებთან განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები სამედიცინო განათლების სფეროში.

აღსანიშნავია, რომ WFME 2025-ის ფარგლებში, თსსუ-ის წარმომადგენელი, საქართველოში AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის ხელმძღვანელი სალომე ვორონოვი აირჩიეს „ლიდერშიფის“ სესიის მოდერატორად, რომელმაც კონფერენციაზე წარადგინა თსსუ-ის მიერ მომზადებული სამი მოხსენება: „საქართველოში დიპლომამდელი სამედიცინო განათლების განახლებული სტანდარტები“; „AMEE-ის ცენტრი საქართველოში – რეგიონში სამედიცინო განათლების ხარისხის გაუმჯობესების საუკეთესო მაგალითი“; „საქართველოში აკადემიური განვითარებისთვის ობიექტურად სტრუქტურირებული სწავლების პრაქტიკის (OSTE) დანერგვა“.

ახალი ნაბიჯები გლობალური სამედიცინო პარტნიორობისკენ – ვიზიტი ჩინეთში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია, თსსუ-ის რექტორის, პროფესორ ირაკლი ნატროშვილის ხელმძღვანელობით, ჩინეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და კლინიკებს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში მნიშვნელოვანი შეხვედრები გაიმართა.

დელეგაცია სტუმრობდა ბეიჯინგის, გუანჯოუსა და სენჯენის საუნივერსიტეტო კლინიკებს, ასევე, გუანჯოუს ჩინური მედიცინის უნივერსიტეტს. განხორციელდა შეხვედრები უნივერსიტეტების პრეზიდენტებთან და კლინიკების ხელმძღვანელებთან.

შეხვედრებზე მხარეებმა განიხილეს ქართული და ჩინური დიპლომების ურთიერთაღიარების, ასევე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობები და ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების პერსპექტივები.

ამ ეტაპზე, მხარეები ამუშავებენ მემორანდუმს ხელმოსაწერად. თსსუ-მა მიიღო შეთავაზება, რომლის მიხედვითაც 20 სტუდენტი, „ჩინური ხიდის“ პროექტის ფარგლებში, ქ. გუანჯოუს ჩინური მედიცინის უნივერსიტეტში ყოველწლიურად გაივლის სტაჟირებას, ხოლო, თსსუ-ის აკადემიური პერსონალი 20 ივლისიდან 30 აგვისტომდე – სპეციალურ ტრენინგს სენჯენის საუნივერსიტეტო კლინიკაში.

თსსუ-ის დელეგაცია სტუმრობდა, ასევე, სამედიცინო ტექნოლოგიების საერთაშორისო ბრენდის – Mindray-ის ოფისს, სადაც მიიღეს ინფორმაცია თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობასა და ინოვაციურ მიდგომებზე.

საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტით ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საგანმანათლებლო საერთაშორისო პლატფორმის – აბრეშუმის გზის უნივერსიტეტების ქსელი (SUN – Silk-Road Universities Network) დაინტერესდა. ქსელმა თსსუ-ს განვრიანება შესთავაზა.

ამ საკითხთან დაკავშირებით თსსუ-ს სტუმრობდა აბრეშუმის გზის უნივერსიტეტების ქსელის გენერალური მდივანი, პროფესორი სუნგდონ ჰვანგი, რომელმაც დეტალურად ისაუბრა წევრობის უპირატესობებზე.

მისი თქმით, ქსელში გაწევრიანება უნივერსიტეტებს აძლევს შესაძლებლობას: გააძლიერონ საერთაშორისო ღირებულებები და კულტურათაშორისი თანამშრომლობა, ჩაერთონ გლობალურ სამეცნიერო და საგანმანათლებლო აქტივობებში, უმასპინძლონ საერთაშორისო კონფერენციებს, ფორუმებსა და გაცვლით პროგრამებს, განავითარონ პარტნიორობა სხვადასხვა ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან.

სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის (ICD) მმართველობის ორგანოში საერთაშორისო კანცლერად თსსუ-ის პროფესორი მარინა მამალაძე აირჩიეს

თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის (ICD) მმართველობის საბჭოში ევროპის ერთადერთი წარმომადგენელი იქნება. გადაწყვეტილება ICD-ის 68-ე კონგრესზე მიიღეს (18-22 ივნისი, ქ. ზალცბურგი, ავსტრია).

სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის მსოფლიო მმართველობის ორგანოში – კანცლერთა საბჭოში – ევროპის სექციას ერთი საერთაშორისო კანცლერის ყოლის უფლება აქვს და სწორედ ეს კანცლერია ,,ევროპის ხმა''.

ICD-ის საერთაშორისო ვიცე-პრეზიდენტმა ამ ვაკანტურ პოზიციაზე ევროპის რეგენტთა საბჭოს დასამტკიცებლად თსსუ-ის პროფესორის, მარინა მამალაძის, კანდიდატურა წარუდგინა. პროფესორი მარინა მამალაძე საერთაშორისო კანცლერის თანამდებობაზე უფლება-მოვალეობის შესრულებას 2026 წლის ივლისიდან დაიწყებს, როდესაც ICD-ის 69-ე კონგრესის ფარგლებში, მილანში გამართული ევროპის რეგენტთა საბჭოზე საერთაშორისო კანცლერის სამკერდე ნიშანი გადაეცემა.

ასევე, ევროპის სექციას წელს საქართველოდან 2 სტომატოლოგი შეემატა: თსსუ-ის ასოცირებული პროფესორი თეონა დანელია და ექიმი თამარ კუთხაშვილი.

,,სტუდფესტი – 2025''-ის პირველი ეტაპი დასრულდა თსსუ-ის სტუდენტები საპრიზო ადგილებზე გავიდნენ

კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული და მოხალისეობრივი ღონისძიებების – „სტუდფესტი – 2025“-ის პირველი ეტაპი დასრულდა. თსსუ-მა მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია და საპრიზო ადგილები დაიკავა. თსსუ-ის სტუდენტებმა განათლებისა და სპორტის მიმართულებით 3 ოქროს, 6 ვერცხლის და 10 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს:

პირველი ადგილი: დარსტი (ვაჟები), შაში (ვაჟები), ინტელექტუალური თამაში;

მეორე ადგილი: City Game, ბილიარდი, ბოულინგი, ბადმინტონი (ვაჟები), პადელი;

მესამე ადგილი: ცურვა (ვაჟები), ცურვა (გოგონები), კიბერსპორტი-ფიფა,

ბადმინტონი (გოგონები), ბადმინტონი (ვაჟები), მკვლავჭიდი, ხელბურთი (ვაჟები), კარტინგი, ჩოგბურთი (ვაჟები), ჭადრაკი (ვაჟები).

„სტუდფესტი – 2025“-ის მეორე ეტაპი მოხალისეობის კომპონენტს მოიცავს და მასში 18 უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები ასრულებენ მოხალისეობრივ ინიციატივებს, ხოლო სექტემბერში ფესტივალი კულტურულ ღონისძიებებს გააერთიანებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო გამოფენაზე – NAFSA 2025

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენაში – NAFSA 2025, რომელიც აშშ-ში, ქალაქ სან-დიეგოში, გაიმართა.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: თსსუ-ის რექტორის აპარატის უფროსი, ასოცირებული პროფესორი ირინა კაპეტივაძე და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილების უფროსი, ასოცირებული პროფესორი თინათინ კილასონია.

NAFSA 2025-ის მიზანია სტრატეგიული გლობალური პარტნიორობის გაფართოება უმაღლეს სასწავლებლებს შორის და განათლების ინტერნაციონალიზაცია. კონფერენცია არის პლატფორმა, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებს საერთაშორისო ასპარეზზე ცნობადობის ამაღლებისა და ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობას აძლევს.

კონფერენციის ფარგლებში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების წარმომადგენლები გაეცნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შესაძლებლობებსა და შეთავაზებებს. მათ, ასევე, მიიღეს დეტალური და ამომწურავი ინფორმაცია ზოგადად, საქართველოს უმაღლესი განათლების ეკოსისტემისა და საქართველოს, როგორც განათლების რეგიონული ჰაბის პერსპექტივებისა და კონკურენტული უპირატესობის შესახებ.

თსსუ-ის დელეგაციას შეხვედრები ჰქონდა, როგორც ორმხრივ, ასევე, მრავალმხრივ ფორმატში, სადაც მოქმედ და პოტენციურ საერთაშორისო პარტნიორებთან განიხილეს, როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები და გეგმები.

ციფრული განათლების ევროპული სტანდარტების გაზიარება – თსსუ ესპანეთის დისტანციური განათლების ეროვნულ უნივერსიტეტში

ციფრული და დისტანციური სწავლების ევროპული პრაქტიკის გაცნობისა და საქართველოში მისი განვითარებისთვის საჭირო სტრატეგიებზე მუშაობის მიზნით, თსსუ-ის დელეგაცია ესპანეთში, დისტანციური განათლების ეროვნული უნივერსიტეტის (UNED) მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე გაემგზავრა.

ევროკავშირის Erasmus+ პროგრამის PRODIGE პროექტის ფარგლებში გამართული სასწავლო ვიზიტის მონაწილეები გაცნობით შეხვედრებს, ლექციებსა და სემინარებს დაესწრნენ. თსსუ-ის დელეგაციასთან ერთად, სასწავლო ტურში მონაწილეობდნენ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები.

PRODIGE პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს განათლების სისტემაში ციფრული პოლიტიკის განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მექანიზმების დანერგვას და განათლების რეფორმების ხელშეწყობას.

პროექტის ფარგლებში მოქმედებს საერთაშორისო კონსორციუმი, რომლის წევრები ევროკავშირის ქვეყნებიდან არიან: ესტონეთის განათლების ხარისხის სააგენტო, ნამურის, ლიეჟისა და ლუქსემბურგის უმაღლესი სკოლა, ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ხორვატიის ალგებრას უნივერსიტეტი და ესპანეთის დისტანციური განათლების ეროვნული უნივერსიტეტი (UNED).

ახალგაზრდა მეცნიერთა კვირეული თსსუ-ში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს ორგანიზებით და მხარდაჭერით, ახალგაზრდა მეცნიერთა კვირეული ჩატარდა.

კვირეულის ფარგლებში, თბილისის საჯარო სკოლების 300-ზე მეტმა მოსწავლემ სხვადასხვა სახის ინტერაქტიულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

ერთი კვირის განმავლობაში, მოსწავლეები ეწვივნენ ქართული თსსუ-ის მედიცინის ისტორიის მუზეუმს. მათ, ასევე, უმასპინძლა თსსუ-ის ვლ. ბახუტაშვილის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტმა, სადაც მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია ბიოტექნოლოგიურ კვლევებსა და ინოვაციურ მიდგომებზე.

გარდა ამისა, კვირეულის მონაწილები ეს-ტუმრნენ თსსუ-ის ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტს, სადაც გაეცნენ ფარმაცევტული საქმიანობის სპეციფიკას.

კვირეულის ფარგლებში მოსწავლეებმა დაათვალიერეს თსსუ-ის სიცოცხლის მეცნიერებათა მუზეუმი. სამუშაო შეხვედრების ფორმატში, თსსუ-ის კლინიკური უნარ-ჩვევების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრში, მათ ჩაუტარდათ პრაქტიკული ტრენინგი თემაზე – „პირველადი სამედიცინო დახმარება — სიცოცხლის გადასარჩენად“.

სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრში მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა „სახალისო ლაბორატორიაში“, სადაც გაეცნენ ლაბორატორიულ ცხოველებზე ექსპერიმენტული კვლევების მნიშვნელობას ბიოსამედიცინო მეცნიერებებში.

კვირეულის ფარგლებში, ასევე, გაიმართა კონფერენცია, სადაც თსსუ-ის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა სოფიო ბახტაძემ წაიკითხა ლექცია თემაზე – „თავის ტვინი და მასზე მოქმედი ფაქტორები“.

ლექცია სახელწოდებით – „კლუბური ნარკოტიკების მოხმარების სამედიცინო და სოციალური ასპექტები“, წაიკითხა სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა ლუიზა გაბუნიამ.

ჩვენ გვიყვარს საქართველო

„ჩვენ გვიყვარს საქართველო“, – ეს სიტყვები ლაიტმოტივად გასდევდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქართული ენის ცენტრის ორგანიზებით გამართულ კიდევ ერთ შეხვედრას, რომელიც ყოველწლიურ ხასიათს ატარებს და ქართული ენის დღეს ეძღვნება.

ამჯერადაც სიყვარულის გამოხატვა საქართველოსა და ქართული ენის მიმართ იყო მთავარი თემა ამ ლამაზი შეხვედრისა, რომლითაც თსსუ-ის მოსამზადებელი კურსის I-II-III-IV და მე-13 ჯგუფების არაქართულენოვანი სტუდენტები: ლ. ჩიტრიანი, ე. ღაზაზიანი, ა. მირაქიანი, კ. თარზიანი, მ. ჯეირანიანი, ა. ოჰანესიანი, შ. ანესიანი, ე. კარაპეტიანი, ს. აკოპიანი, ე. ჯალაკპანიანი, ლ. გარსლიანი, მ. ნაჰაპეტიანი, ნ. ემინოვა, ლ. ნამაზოვა, ჰ. სარქისიანი, დ. მოსოიანი, ა. ამბარცუმიანი, კ. კაროიანი – წარდგნენ საზოგადოების წინაშე.

იდეის სულისჩამდგმელი, პედაგოგებთან ერთად, ტრადიციულად, ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი დარეჯან კუხიანიძე, გახლდათ, რომელიც არაქართველ ახალგაზრდებში ქართული ენის სიყვარულის განმტკიცების მუდმივ მცდელობაშია და კოლეგებთან ერთად ბევრს აკეთებს ამ მიმართებით.

მომავალ ექიმებს – სომეხ და აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს, შესაძლებლობა მიეცათ, კიდევ ერთხელ გამოეხატათ პატივისცემა თავიანთი მეორე სამშობლოს მიმართ, რის დასტურადაც მშვენიერი ქართულით წაკითხული შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, ანას, მუხრანის და მურმანის ულამაზესი სტრიქონები იქცა, ასევე, – მათ მიერვე ქართული ჰანგების და ცეკვების შესრულებით გამოწვეული მაყურებლის ოვაციები.

პროფესორმა რუსუდან რუხაძემ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა და პროფესორმა თინათინ ტყემალაძემ, თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, აღფრთოვანების სიტყვები არ დაიშურეს ახალგაზრდების მისამართით და იმედი გამოთქვეს, რომ ისინი, საუკეთესო სპეციალისტებად, ღირსებით და მაღალი თვითშეგნებით გამორჩეულ მოქალაქეებადაც ჩამოყალიბდებიან, რადგანაც თავიდანვე, სტუდენტობის წლებიდანვე, სულსა და გულში აქვთ გამჯდარი პატივისცემისა და მადლიერების გრძნობა ქართველი ხალხის და ქართული ენის მიმართ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – მუდამ თქვენი უნივერსიტეტი!

ყოველი დასასრული რომ რაღაც ახლის დასაწყისია, ამაზე არაერთ ფილოსოფოსს უთქვამს, თუმცა ეს აზრი ყველაზე მეტად ხორცშესხმული სწორედ სასწავლო წლის დასასრულს ხდება, როცა უმაღლეს სასწავლებლებში კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიებები იმართება. ასრულებენ და იწყებენ! სრულდება უდიდესი ეპოპეა სტუდენტად ყოფნისა და იწყება პროფესიული გზა – ამ ფაქტს ერთად, დიდი სიხარულით აღნიშნავენ კურსდამთავრებულები და მათი ოჯახის წევრები, უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი.

წლევანდელ ზაფხულს კურსდამთავრებულთა კიდევ ერთი ღონისძიება გაიმართება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. 2025 წელს უკვე 95 წელი შესრულდა, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (ინსტიტუტი) დამოუკიდებელ ინსტიტუციად არსებობს, მისი აკადემიური ისტორია კი საქართველოში საუნივერსიტეტო სწავლების შესაბამისი ასაკისაა და სულ რაღაც სამ წელიწადში 110 წლისთავს იზეიმებს. კურსდამთავრებულთა გამოშვებები კი 110-ზე გაცილებით დიდ რიცხვს აღწევს...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორი **ირაკლი ნატროშვილს,** საუკუნოვანი ისტორიის მქონე უნივერსიტეტის დღევანდელობის შესახებ ვკითხეთ:

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს დაუგროვდა უზარმაზარი გამოცდილება და აქვს მდიდარი ტრადიციები. დღევანდელი ჩვენი ინსტიტუცია ამ გამოცდილებასა და ტრადიციებზე დგას, ამასთანავე, თანამედროვე უახლესი გამოწვევების შესაბამისად, ვითარდება და, რაც მთავარია, მდგრადი, მოტივირებული და მობილიზებულია, რომ მუდმივად იაროს სრულყოფილების გზაზე – განვითარდეს და შესაძლებლობა მისცეს ახალგაზრდებს, კონკურენტიანი, მაღალი მოთხოვნების შესაბამისი განათლება მიიღონ.

თსსუ-ის ისტორია არაერთ რთულ პერიოდს მოიცავს. თუნდაც გავიხსენოთ მეორე მსოფლიო ომის პერიოდი, საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდი, ან სამოქალაქო ომი, აფზახეთში რუსეთთან ომი, თუ – 2008 წლის ომი, პანდემია... ეს ყველაფერი სერიოზული გამოწვევა და წინაღობა იყო... და ყველა ამ მძიმე მოვლენის ეპიცენტრში რჩებოდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (ინსტიტუტის) სტუდენტები, ლექტორები, კურსდამთავრებულები... ისინი ერთ-ერთ მოწინავე ხაზზე იდგნენ და ყველა მძიმე დარტყმას თავის თავზე იღებდნენ. სამედიცინო სფეროში მუშაობა (გნებავთ, სწავლა და სწავლება) სამოქალაქო თვითშეგნებასაც მაქსიმალურად ზრდის, დიდ პასუხისმგებლობასა და ღირსებას მოითხოვს. სწორედ ეს გვეხმარებოდა, რომ, ყველა სირთულის მიუხედავად, განვითარებულიყავით და ლოგიკური შედეგიც სახეზეა: დღეს გვაქვს ძალიან ძლიერი ინსტიტუცია მდგრადი აკადემიური, ფინანსური და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობებით.

თსსუ-ის დღევანდელი მოცემულობა ნამდვილად კარგია, თუმცა, არ ნიშნავს რომ სრულყოფილია. სრულყოფილებისკენ მუდმივად უნდა ვისწრაფოთ და ეს სწრაფვა არასდროს დასრულდება (ეს გახლავთ ინსტიტუციის სიცოცხლიუნარიანობის მთავარი ნიშანი). ვიცი, რომ სჭირდება დახვეწა პროგრამებს, სასწავლო პროცესს. ჩვენ კიდევ უნდა განვვითარდეთ აკადემიური პერსონალის მომზადების დონის და კვალიფიკაციის გათვალისწინებით, ფინანსურად, ინფრასტრუქტურულად, თუმცა ისევ გავიმეორებ – ყველა ეს კრიტერიუმი დღესაც ძალიან მაღალ დონეზე გვაქვს დაყენებული. ამისი შედეგია ის, რომ ექიმობის, სტომატოლოგობის, ფარმაცევტობის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტობის, რეაბილიტოლოგობის მსურველთა უდიდესი ნაწილი თავის არჩევანს (და პირველ არჩევანს) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტზე აკეთებს.

შედეგიც სახეზეა: ბევრი სახელოვანი კურსდამთავრებული გვყავს, რომელიც წარმატებულია, არა მარტო აქ, საქართველოში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც...

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი თქვენი Alma-Mater-ია. რას ეტყვით წლევანდელ კურსდამთავრებულებს, როგორც კურსდამთავრებული?

– მე წარსულშიც და დღესაც ვამაყობ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული რომ ვარ. მინდა, რომ თქვენც მუდამ იამაყოთ!

გამოსაშვები ცერემონია სასიხარულოცაა და სევდიანიც. გვიხარია, რომ ახალი თაობა ემატება ექიმების, სტომატოლოგების, ფარმაცევტების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების, რეაბილიტოლოგების რიგებს. ახალ სპეციალისტებს ახალი შესაძლებლობები, ახალი მიღწევები ელოდებათ... მეორე მხრივ, სევდიანია – ემშვიდობები სტუდენტობას, შენს უნივერსიტეტს... ადგილს, სადაც ჩამოყალიბდი, როგორც პიროვნება, რადგან სკოლის დამთავრების შემდეგ, დამეთანხმებით, ჯერ კიდევ ბავშვობაგამოყოლილებს, პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი დამთავრებული არ გვაქვს...

როგორც კურსდამთავრებულმა, მინდა გითხრათ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ეს არის ის მთავარი ინტელექტუალური ძალა, რომელმაც ჩამომაყალიბა, პროფესიულ გზაზე დამაყენა და მომცა საშუალება მიმეღწია წარმატებისთვის სამედიცინო სფეროში. ამ უნივერსიტეტის დახმარებით, მეცადინეობით და ძალისხმევით გავხდი ის, რაც ვარ...

მადლიერი ვარ.

გასაგებია, რომ ბევრი რამ ისე არ არის, როგორც ვისურვებდით, ბოლომდე კმაყოფილი შეიძლება არ ვართ, მაგრამ ერთად ვიბრძოლოთ უკეთესისთვის. როგორც სამშობლოს, ოჯახის მიმართ უნდა იყო პატრიოტი, ასევე, უნდა იყო იმ ინსტიტუციის მიმართ, რომელიც აირჩიე და რომელმაც შემდეგ იზრუნა შენთვის!

– კურსდამთავრებულებისთვის დადგა დღე, როცა უკვე გარკვეული პროფესიის წარმომადგენლები ხდებიან, რას ეტყვით მათ, როგორც კოლეგა ახალგაზრდა კოლეგებს?

– მინდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის სტუდენტები სწავლის პროცესშიც ახალგაზრდა კოლეგები არიან. ვასწავლი მე-11-მე-12 სემესტრელებს, ადრე გაცილებით დაბალი სემესტრების სტუდენტებსაც ვასწავლიდი. მათ მიმართ ყოველთვის მქონდა განცდა, რომ კოლეგები იყვნენ და მიმაჩნია, რომ ეს არის სწორი.

მედიცინასთან, ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პროფესიები ძალიან დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ კოლეგიალობა, საკუთარი თანამშრომლის გაგების, მოსმენის უნარი ძალიან ბევრს განსაზღვრავს ცხოვრებაში! შეიძლება ვიკამათოთ კიდეც, შეიძლება ერთმანეთს ვერ დავეთანხმოთ, მაგრამ უნდა გვქონდეს ერთმანეთის პატივისცემა და ღირსების განცდა. სწორედ ამას გისურვებთ, ახალგაზრდა კოლეგებო!

– დაბოლოს, თქვენ დიდი ისტორიის მქონე უნივერსიტეტის რექტორი ბრძანდებით. რას უსურვებთ კურსდამთავრებულებს, როგორც რექტორი?

– ბედნიერი ვიქნები თუ ჩვენი კურსდამთავრებულები არ მოწყდებიან უნივერსიტეტს და ერთად გავაგრძელებთ ჩვენი Alma-Mater-ის განვითარებისთვის ზრუნვას. როგორც ვთქვი, ბევრი რამ უნდა დაიხვეწოს, განვითარდეს, გნებავთ – შეიცვალოს! მაგრამ უნდა დამეთანხმოთ, ჩვენ მართლაც სულ ვცდილობთ განვითარებას, ასე იყვნენ წინამორბედი რექტორები, ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი... ასე ვართ დღესაც.

ბევრი ცვლილება გვაქვს დაგეგმილი აკადემიურ პროცესთან თუ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით. ამ პროცესში ჩვენი ერთობა კიდევ უფრო მეტი წარმატების მომტანი იქნება. იმედი მაქვს, საუკეთესო პროფესიონალებად შედგებით და იმ სახელოვან კურსდამთარებულთა რიცხვს შეემატებით, ვინც, თქვენც კარგად იცით, დიდ თანადგომას უწევს მშობლიურ უნივერსიტეტს!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მუდამ თქვენი უნივერსიტეტი იქნება!

ესაუბრა ლელა მუკბანიანი

თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას 35 ახალი კურსდამთავრებული ჰყავს

თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა 2025 წელს 35-მა სტუდენტმა დაამთავრა. წლევანდელი კურსდამთავრებულები პროგრამის მეშვიდე გამოშვებაა.

საზეიმო ღონისძიება თსსუ-ის თეატრალურ დარბაზში ჩატარდა. საღამოზე კურსდამთავრებულების სიხარული გაიზიარეს მშობლებმა, მეგობრებმა, თსსუ-ის ადმინისტრაციის წარმომაგენლებმა და მოწვეულმა სტუმრებმა.

საზეიმო ცერემონიას ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი, თსსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი არჩილ უნდილაშვილი უძღვებოდა.

კურსდამთვარებულებსა და მათი ოჯახის წევრებს სიტყვით მიმართა, სწავლის დამთავრება მიულოცა და წარმატებები უსურვა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა.

ღონისძიებაზე კურსდამთავრებულებს სწავლის დასრულება მიულოცეს და პროფესიულ საქმიანობაში წარმატებები უსურვეს თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ეკა ეკალაძემ, თსსუ-ის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასისტენტ-დეკანმა, პროფესორმა გორდონ ჩერჩვორდმა და ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ჰემატოლოგიისა და ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორმა მერი ჯო ლეკოვიჩმა.

გამოსაშვები საღამოს დასკვნით ნაწილში კურსდამთვარებულების ხმათა უმრავლესობით, „წლის გამორჩეული მასწავლებლის“ ჯილდო გადაეცათ რუსუდან რუსიას და ანა ქევანიშვილს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჯილდო – საპატიო დოქტორის წოდება წელს ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასისტენტ-დეკანს, პროფესორ გორდონ ჩერჩვორდს მიენიჭა.

საზეიმო ღონისძიების კულმინაცია იყო, ტრადიციულად, ჰიპოკრატეს ფიცის საზეიმოდ დადება და ტორტის გაჭრა ფოიერვერკის თანხლებით.

საზეიმო ღონისძიებას კურსდამთავრებულების ნაწილი ვერ დაესწრო. ისინი აშშ-ში იმყოფებიან, სადაც რეზიდენტურაში განაგრძობენ სწავლას.

ოფიციალური ნაწილის დაწყებამდე, თსსუ-ის თეატრალური დარბაზის ჰოლში გაიმართა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა – „მედიცინის მიღმა“, სადაც დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მეორე სემესტრის სტუდენტებმა წარმოადგინეს ნამუშევრები, რომელიც მომზადდა სასწავლო კურსების - „მხატვრული მინა - ფიუზინგი“ და „მინანქარი - საიუველირო საქმე“ ფარგლებში. აღნიშნული კურსი ერთობლივად შეიმუშავეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წარმომადგენელმა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ულოცავს ყველა კურსდამთავრებულს და უსურვებს წარმატებებს პროფესიული განვითარების გზაზე!

tsmu.edu

წერილები Alma-Mater-ს

ჩემთვის ექიმის პროფესია ყოველთვის უკავშირდებოდა ადამიანების ქმედით დახმარებას, მათთვის ტკივილის შემსუბუქებასა და ნუგეშისცემას. სწორედ ამიტომ გადავდგი ნაბიჯი ამ საკმაოდ რთულ გზაზე – სურვილით, ვყოფილიყავი სასარგებლო, მენახა შედეგი არა მხოლოდ თეორიაში, არამედ რეალურ ადამიანურ ისტორიებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა მომცა ამ მიზნის მსახურებისთვის აუცილებელი იარაღი – განათლება.

ვფიქრობ, სამედიცინო უნივერსიტეტს ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ჩემი, როგორც მომავალი ექიმისა და პიროვნების, ჩამოყალიბების პროცესში. მადლიერი ვარ, რადგან განათლების გარდა, უნივერსიტეტში სწავლამ მომცა უდიდესი გამოცდილება, მასწავლა ექიმის პროფესიასთან დაკავშირებულ სირთულეებთან გამკლავება; მქონდა ბედნიერება, მესწავლა სამაგალითო ექიმებისა და პედაგოგებისგან...

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საოცარი და შეუფასებელი განცდაა, ისწავლო მრავალმხრივ გამორჩეული, ნიჭიერი, ცოდნითა და კაცთმოყვარეობით გულანთებული ადამიანების გვერდით, უნივერსიტეტში შექმნილი გარემოს დამსახურებაა, რომ დღეს მათ მეგობრებს ვუწოდებ.

სწავლის პერიოდში პატივი მქონდა გავმხდარიყავი როგორც სახელმწიფო, ისე – სახელობითი სტიპენდიატი, რაც ერთობ სასიამოვნო მოტივატორად იქცა ჩემთვის; უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როცა შრომის გრძელვადიანი პერსპექტივის გარდა, მოკლევადიან შედეგსაც ხედავ, ამიტომ ძალიან ვაფასებ ამ შესაძლებლობას.

დამთავრდა არაჩვეულებრივი სტუდენტური წლები... დარწმუნებული ვარ, როგორი რთული გზაც არ უნდა მელოდეს მომავალში, უნივერსიტეტში მიღებული რჩევები, გამოცდილება და ცოდნა ყოველთვის გამიწევს მეგზურობას სწორ გზაზე სვლაში. ყველაფერს გავაკეთებ პროფესიული განვითარებისთვის, რომ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას მოვახმარო. უნივერსიტეტში სწავლის წლები ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე ნათელ პერიოდად დარჩება. ჩვენ ვეუფლებით ერთ-ერთ ყველაზე ჰუმანურ, რთულ, საპასუხისმგებლო პროფესიას და მზად ვარ, ჩემი წვლილი შევიტანო მის განვითარებაში.

მარიამ დალაქიშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ამერიკულ პროგრამაზე ჩაბარებას ჩემ მიერ მიღებულ ერთ-ერთ ყველაზე სწორ გადაწყვეტილებად მივიჩნევ.

თანამედროვე მსოფლიოში, მედიცინის ელვისებურ განვითარებასთან ერთად, იცვლება და ვითარდება სამედიცინო განათლების მიდგომები და პრინციპები, რომელსაც მუდამ ფეხს უწყობს თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც დღეს 2018 წლის ამერიკული პროგრამისგან განსხვავებულია, რაც მისი მუდმივი განვითარების შედეგია.

ემორის საუნივერსიტეტო კლინიკაში გავლილმა ორთვიანმა კლინიკურმა როტაციებმა, გარდა უდიდესი გამოცდილებისა და ცოდნის მიღებისა, ამერიკის რეზიდენტურის კონკურსში ჩემს წარმატებაშიც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა. ორი თვის განმავლობაში საშუალება მქონდა, მემუშავა ექიმებთან, რომლებიც საკუთარი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობით ქმნიან თანამედროვე მედიცინის ყოველდღიურობას.

მადლობა ლექტორებს და იმ ექიმებს, რომლებმაც, ცოდნის გაზიარებასთან ერთად, მასწავლეს პროფესიის ფასი და მნიშვნელობა. ისინი არიან ადამიანები, რომელთა პროფესიონალიზმი და თავდადება მუდამ სამაგალითო იქნება ჩემთვის.

დიდი პატივია იმ უნივერსიტეტის სახელის ტარება, რომელმაც ათეულწლების მანძილზე არაერთი სამაგალითო ექიმი და მეცნიერი აღზარდა, საკუთარი საქმიანობა ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვას რომ მიუძღვნეს.

თითოეულ ჩვენგანს არანაკლებ დიდი და რთული გზა აქვს გასასვლელი, თუმცა მჯერა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და უნარები წარმატებით დაგვეხმარება კარიერული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

ნიკა ვაშაკიძე,
დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული
პროგრამის კურსდამთავრებული

თითქოს გუშინ იყო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი რომ გავხდი... არასოდეს დამავიწყდება ის ემოცია, რაც იმ დროს განვიცადე – უდიდესი სიხარული და, ამავდროულად, პასუხისმგებლობა... ექიმობა ხომ, ჰუმანურობასთან ერთად, დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, შეუნარჩუნო ადამიანს ყველაზე ძვირფასი – ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

განვლილმა ექვსმა წელმა, მიუხედავად იმისა, რომ სავსე იყო სირთულეებით, ბევრი მნიშვნელოვანი თვისება შემძინა და, რაც მთავარია, მასწავლა უმთავრესი: რას ნიშნავს, იყო კარგი ექიმი და როგორ მიაღწიო ამას.

პროფესიული ცოდნის გარდა, დიდი შენაძენია საინტერესო ურთიერთობები, მეგობრები, რომლებმაც სტუდენტობის პერიოდი განსაკუთრებით შთამბეჭდავ წლებად აქციეს... მჯერა, თითოეული მათგანი მომავალშიც საიმედო დასაყრდენი იქნება ჩემთვის.

განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებენ თსსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები იმ ღვაწლისთვის, რაც თითოეული ჩვენგანის პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის გასწიეს. მათ გარეშე ამ გზის გავლა შეუძლებელი იქნებოდა. საკუთარი ცოდნის გაზიარების გარდა, ისინი მუდმივად ცდილობდნენ, მოეცათ მოტივაცია წინსვლისა და პროფესიული განვითარებისთვის.

დღეს უკვე თსსუ-ის კურსდამთავრებული მქვია და ერთი ნაბიჯით წინ ვარ დასახული მიზნისკენ სავალ გზაზე – უფრო მეტი პასუხისმგებლობით, უფრო მეტი ცოდნითა და გამოცდილებით, რაც საშუალებას მაძლევს, მომავალ სტუდენტებს ვურჩიო, სირთულეებისა და გამოწვევების მიუხედავად, არასოდეს შეწყვიტონ საკუთარი მიზნებისკენ სწრაფვა და ეცადონ, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინონ.

საბოლოო მიზნის მიღწევამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი, თუმცა, მჯერა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა ყოველთვის დამეხმარება, აქ გატარებული წლები კი საუკეთესო მოგონებად დარჩება ჩემს მეხსიერებაში, რაც უნივერსიტეტში შექმნილი გარემოს, პროფესორ-მასწავლებლებისა და აქ შეძენილი მეგობრების დამსახურებაა.

გიორგი გენგაშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

როდესაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გატარებულ დროს ვიხსენებ, უდიდესი მადლიერების გრძნობით ვივსები. მადლიერების განცდას მმატებს ყველა ის გამოწვევა და დაბრკოლება, რაც დიდი შრომის შედეგად გადავლახე და, ასევე, – დაუვიწყარი ემოციები, რაც თან ახლდა სტუდენტობას.

ჩემ მიერ განვლილი აკადემიური გზა ძალიან შრომატევადი იყო, რასაც პროფესიული ზრდა და პროგრესი მოჰყვა.

სამედიცინო უნივერსიტეტში გატარებული წლები შრომის, სწავლისა და გამოცდილების მიღების ნაზავი გამოდგა ჩემთვის. უნივერსიტეტმა დაუვიწყარი მოგონებები და მეგობრები მაჩუქა. ამ პერიოდის განმავლობაში შესაძლებლობა მომეცა, ურთიერთობა მქონოდა მაღალკვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებლებთან, დავსწრებოდი პაციენტთა კონსულტაციებს, დავკვირვებოდი სამედიცინო გადაწყვეტილებების მიღების პროცესს და შემესწავლა მრავალფეროვანი კლინიკური ისტორიები. სწორედ ეს უწყვეტი გამოცდილება მაძლევს საშუალებას, მუდმივად გავიზარდო, როგორც პროფესიონალი, გავხდე კომპეტენტური და თანაგრძნობის უნარის მქონე სპეციალისტი.

უნივერსიტეტში სწავლისას უმნიშვნელოვანეს წარმატებებს მივაღწიე: მოვიპოვე როგორც სახელმწიფო, ასევე, სახელობითი სტიპენდიები, რაც მაძლევდა დამატებით მოტივაციას შემდგომი წინსვლისთვის. განსაკუთრებით სასიხარულო იყო ჩემთვის სტიპენდიის მიღება გამორჩეული სტომატოლოგის, ქალბატონი ლია ჭელიძის, სახელობის პროგრამით, რამაც, არა მხოლოდ სიამაყის საფუძველი, არამედ დიდი პასუხისმგებლობაც იყო ჩემთვის; თუმცა, ყველა ინდივიდუალურ მიღწევაზე მეტად, მნიშვნელოვანია ჩემი მუდმივი, ყოველდღიური ძალისხმევა საკუთარი თავის საუკეთესო ვერსიად ქცევისთვის, ანუ მსურს, გავხდე სპეციალისტი, რომელიც მნიშვნელოვან სიტყვას იტყვის და კვალს დატოვებს სტომატოლოგიის სფეროში.

ნინო ბაიდოშვილი,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

სკოლის ასაკიდანვე განსაკუთრებული სიყვარული მქონდა საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ, რომლებიც ჩემთვის სამყაროს შემეცნების საშუალება იყო. სწორედ ამ ინტერესზე დაყრდნობით მივედი გადაწყვეტილებამდე, მომავალი მეცნიერებასთან დამეკავშირებინა.

ფარმაცია აერთიანებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, ასევე, ინოვაციასა და ადამიანებზე ზრუნვას. თავიდან ვერ ვაცნობიერებდი, რამდენად საინტერესო და მრავლისმომცველი სფეროს ნაწილი უნდა გავმხდარიყავი, თუმცა, დროთა განმავლობაში ეს გზა მეტად საინტერესოდ და პერსპექტულად მეჩვენა. უნივერსიტეტში სწავლას სირთულეებიც ახლდა, მაგრამ გარემომ, ლექტორებმა და განსაკუთრებით — მეგობრებმა, სწავლის წლები დაუვიწყარ გამოცდილებად აქციეს და დღეს უკვე დარწმუნებით ვამბობ, რომ პროფესია სწორად ავირჩიე.

ფარმაცია ჩემთვის მეცნიერებაა, რომელიც მუდმივად ვითარდება, იკვლევს და იძიებს საუკეთესო თერაპიულ მიდგომებს. ეს დარგი სიზუსტეს, ლოგიკურ და კრიტიკულ აზროვნებას, სისტემურ მიდგომასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. მომწონს მისი კვლევითი და ლაბორატორიული ნაწილი. ლაბორატორიაში მუშაობა ჩემთვის არა მხოლოდ ცოდნის გაღრმავება, არამედ პრაქტიკულ პროცესში მონაწილეობის საშუალებაა – აქტიური ნივთიერებების თვისებების კვლევა, მათგან წამლის ფორმის შექმნა და ხარისხის კონტროლი ჩემთვის ძალზე საინტერესო პროცესია.

განსაკუთრებით მაბედნიერებს ის იდეა, რომ მომავალში მეც შემიძლია მონაწილეობა მივიღო ახალი წამლების შექმნის პროცესში.

ჩემი სურვილია, სწავლა განვაგრძო კვლევითი მიმართულებით, გავიღრმავო ცოდნა ინოვაციური პრეპარატების შემუშავების თვალსაზრისით და გავხდე ის ფარმაცევტი, რომელიც არა მხოლოდ გასცემს ინფორმაციას, არამედ თვითონ ქმნის ღირებულ და საჭირო მედიკამენტს.

ეს არის სფერო, სადაც შემიძლია მთლიანად გამოვავლინო საკუთარი თავი, როგორც მეცნიერმა, ანალიტიკოსმა და ადამიანმა, რომელსაც სჯერა, რომ მეცნიერება ყველაზე ჰუმანური გზით ეხმარება საზოგადოებას წინსვლაში. სწორედ ეს რწმენა და მიზანი მაძლევს მოტივაციას, რომ ამ გზას მთელი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით შევუდგე.

ჯული კუპატაძე-გაგდასარიანი,
ფარმაციის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

წერილები Alma-Mater–ს

სტომატოლოგია ჩემთვის მხოლოდ პროფესია არ არის, ეს მოწოდებაა, რომელიც უშუალოდ ადამიანის ემოციებსა და მათი ცხოვრების ხარისხს ეხება. ეს საქმე ღიმილის უკან დგას, იმ ღიმილის, რომელიც, არა მხოლოდ ესთეტიკურად იდეალურია, არამედ სავსეა ნდობითა და მადლიერებით. სწორედ ამ ღიმილის შექმნა არის ჩემი მთავარი მიზანი და მოტივაცია.

უნივერსიტეტში ჩაბარებისთანავე მივხვდი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. ეს არ იყო მხოლოდ ახალი საგანმანათლებლო ეტაპის დასაწყისი, ეს იყო ჩემი პროფესიული და პიროვნული ზრდის გზა, რომელიც მყარად ეფუძნება ემპათიას, ზრუნვასა და ადამიანის პატივისცემას.

საუნივერსიტეტო გარემომ უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემს ჩამოყალიბებაზე. მიღებული ცოდნა გადამწყვეტი აღმოჩნდა არა მხოლოდ აკადემიური თვალსაზრისით. პედაგოგებისგან მივიღე საგნობრივი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება და ვისწავლე თუ რას ნიშნავს, იყო მოტივირებული, თავდადებული და გულისხმიერი პროფესიონალი. მათი რჩევები, მხარდაჭერა და ადამიანური მიდგომა ჩემთვის დიდი სტიმულია – სწორედ ის ღირებულებებია, რომელთაც სამომავლო საქმიანობაში აუცილებლად გამოვიყენებ.

ამ წლების განმავლობაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სტომატოლოგია არის სფერო, სადაც თავს სრულად გამოვხატავ. ის მოითხოვს, არა მხოლოდ ტექნიკურ ცოდნასა და უნარებს, არამედ დიდ გულისხმიერებასა და სიხარულის გაზიარების უნარს.

რაც უფრო ვიღრმავებ ცოდნას და ვიღებ ახალ გამოცდილებას, მით უფრო ვაცნობიერებ თუ რამდენად დიდ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული სტომატოლოგის პროფესია. ადამიანებისთვის ჯანმრთელი ღიმილის დაბრუნება ნიშნავს მათთვის ახალი სიცოცხლის, თავდაჯერებულობის და ბედნიერების დაბრუნებას.

მჯერა, რომ ჩემი პროფესიული გზა ამ ეტაპზე მხოლოდ იწყება და წინ უამრავი შესაძლებლობაა, როგორც პიროვნული, ისე პროფესიული განვითარების თვალსაზრისით.

მზად ვარ, მუდმივად ვისწავლო, განვვითარდე და გავხდე სტომატოლოგი, რომელიც ადამიანებისთვის რეალური და დადებითი ცვლილების მომტანი იქნება.

ნოდარ ელიდისი,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

როცა მომავალს სამედიცინო სფეროს უკავშირებ და პროფესიად სხვების ჯანმრთელობაზე ზრუნვას ირჩევ, ცხადია, იმთავითვე გააზრებული გაქვს, რომ ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა და მიზნისკენ მიმავალი გზა საკმაოდ რთული იქნება. ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო, თუმცა ახლა, თსსუ-ში ექვსწლიანი სასწავლო პერიოდის თითქმის მიწურულს, ვიხსენებ „ახლადგასტუდენტებულ" საკუთარ თავს და ვხვდები, რამდენად დიდი როლი შეასრულა უნივერსიტეტის კედლებში გატარებულმა დრომ ჩემი პიროვნული თუ პროფესიული ზრდის საქმეში.

საბედნიეროდ, შემიძლია, ვთქვა, რომ სტუდენტობის პერიოდი საკმაოდ ნაყოფიერად გავატარე. სასწავლო სილაბუსით გათვალისწინებული ლექცია-სემინარების გარდა, ჩავერთე სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, შედეგად კი ამ მიმართულებით საქმიანობისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარ-ჩვევები შევიძინე, რაც დღესდღეობით მეხმარება, მოვამზადო სამეცნიერო ნაშრომები და ვიყო წარმატებული სპიკერი ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებზე. ამასთან, თსსუ-ის ბაზაზე შექმნილ სტუდენტურ ორგანიზაციებში საქმიანობამ შემმატა არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ საორგანიზაციო მიმართულებით მუშაობის გამოცდილება.

გარდა ამისა, ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომლობა მსოფლიოს წამყვან სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასარგებლო აღმოჩნდა ჩემთვის. საბედნიეროდ, შემიძლია ვთქვა, რომ გასულ სემესტრში ორ სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობამ არა მხოლოდ პროფესიული თვალსაზრისით განმავითარა, არამედ მომცა საშუალება გავცნობოდი რამდენიმე ევროპული ქვეყნის კულტურასა და ცხოვრების წესს.

ზემოაღნიშნული გამოცდილებიდან გამომდინარე, თსსუ-ის ამჟამინდელ და მომავალ სტუდენტებს მინდა ვურჩიო, რომ მიუხედავად დატვირთული სასწავლო გრაფიკისა, მუდმივად ეცადონ გამონახონ დრო დამატებითი საგანმანათლებლო აქტივობებისთვის, გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობთ განვითარებისა და შემეცნებისთვის. აგრეთვე, ვეტყოდი, რომ არ შეეშინდეთ გამოწვევების, მუდმივად მზად იყვნენ სიახლეებისთვის, ირწმუნონ თავიანთი შესაძლებლობები და თითოეული სირთულე საკუთარი უნარ-ჩვევების დახვეწისა თუ ცოდნის გაღრმავებისთვის გამოიყენონ.

დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ თსსუ-ში სწავლის პერიოდმა შემძინა არაერთი მნიშვნელოვანი ადამიანი – თანატოლები და უფროსი მეგობრები, მომცა საშუალება, ვყოფილიყავი გამორჩეული პიროვნული თვისებებით შემკული პროფესორ-მასწავლებლების სტუდენტი, რომლებიც უშურველად გვიზიარებდნენ თავიანთ ცოდნასა თუ გამოცდილებას და ხშირად ფასდაუდებელი ცხოვრებისეული რჩევა-დარიგებებითაც გვამდიდრებდნენ, რისთვისაც, კიდევ ერთხელ, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი მათ!

მინდა წარმატება ვუსურვო ჩემს უნივერსიტეტს, მის აკადემიურ პერსონალს, ამჟამინდელ თუ მომავალ სტუდენტებს! თსსუ იყო და არის ჩვენს ქვეყანაში მაღალი ხარისხის სამედიცინო განათლების მიღების გარანტი და, ვიმედოვნებ, რომ სიახლეების დანერგვითა და განვითარებისკენ მუდმივი სწრაფვით, კვლავაც განაგრძობს სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთა მომდევნო თაობების აღზრდას.

ნინო კიკვაძე,
მედიცინის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში დავრწმუნდი, რომ მინდოდა პროფესიული საქმიანობა სამედიცინო სფეროში გამეგრძელებინა. სასიამოვნოა იმის გააზრება, რომ საქმე, რომელსაც ემსახურები, გულისხმობს ზრუნვას, თანადგომას, მოთმინებასა და, რაც მთავარია, სიყვარულს ადამიანების მიმართ. ბევრიც არ მიფიქრია თუ რომელ უმაღლეს სასწავლებელში ჩავაბარებდი. 2018 წელს გავხდი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, სადაც დავეუფლე როგორც თეორიულ ცოდნას, ისე – პრაქტიკულ უნარებს.

სწავლის გზა არ ყოფილა მარტივი – ეს იყო სირთულეებით, შფოთვით, საგამოცდო სტრესებით, უძილო ღამეებით დატვირთული წლები, მაგრამ სასიამოვნო იყო იმის გაცნობიერება, რომ ჩვენ არ ვიყავით, უბრალოდ, სტუდენტები – ვითვისებდით პროფესიას, რომლისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი სითბო, მზრუნველობა, ადამიანობაა... ექთნის პროფესია ძალიან სპასუხისმგებლოა, უნივერსიტეტმა კი მოგვცა შესაძლებლობა სხვადასხვა კლინიკაში მიგვეღო პაციენტთან ურთიერთობის გამოცდილება და თეორიული ცოდნა პრაქტიკით განგვემტკიცებინა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლა მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ პროფესიული ცოდნის მიღების, არამედ პიროვნული განვითარების თვალსაზრისითაც. აქ ვისწავლე ადამიანების დაკვირვებით მოსმენა, გუნდური მუშაობა, სულიერად უფრო გავძლიერდი და, რაც ყველაზე მთავარია, ვისწავლე, როგორ გავხდე იმედი სხვა ადამიანებისთვის, რომელთაც ჯანმრთელობის შენარჩუნება და სიცოცხლის გაგრძელება სურთ.

დღეს უკვე სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ მზად ვარ ვემსახურო საზოგადოებას, ვიდგე ადამიანის ჯანმრთელობის და სიცოცხლის სადარაჯოზე და თითოეული პაციენტისთვის დავიხარჯო ბოლომდე, შევუქმნა მათ მშვიდი და კომფორტული გარემო.

შეუძლებელია მადლიერება არ გამოვხატო ჩვენი პედაგოგების მიმართ, რომლებიც დაუღალავად გვიზიარებდნენ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას, გვაძლევდნენ მოტივაციას და მაგალითს იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ექიმი თუ ექთანი.

ასევე, გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, შინაგანი მედიცინის N1 დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორ მედეა ჯღარკავას და თსსუ-ის საექთნო და სამეანო პროგრამების მდივანს, ქალბატონ ნინო თეზელაშვილს მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. ამ წლების განმავლობაში მუდამ იგრძნობოდა მათი კეთილგანწყობა და ყურადღება ჩვენ მიმართ.

არ შემიძლია არ ვახსენო მეგობრები, რომლებიც უნივერსიტეტში შევიძინე, თანაკურსელები, რომლებთანაც ვატარებდი დროის უდიდეს ნაწილს, ვიზიარებდი სიხარულსაც და იმედგაცრუებასაც... ისინი ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცნენ; სწორედ მათთანაა დაკავშირებული სტუდენტობის უამრავი ლამაზი მოგონება.

ლიკა გულისაშვილი,
სამეანო საქმის საბაკალავრო
პროგრამის კურსდამთავრებული

როცა სტუდენტობის ულამაზეს წლებს ვიხსენებ, უპირველესად, მინდა მადლიერება გამოვხატო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შექმნილი გარემოს და იმ დაუვიწყარი შთაბეჭდილებების გამო, რაც საექთნო საქმის ქართულ-ავსტრიულ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში დამიგროვდა.

აღნიშნული პროგრამა ჩემთვის არა მხოლოდ პროფესიული განათლების მიღების გზა იყო, არამედ მყარი საფუძვლის შექმნა მომავალი განვითარებისა და მაღალპროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის.

აღსანიშნავია ჩვენი უნივერსიტეტის ლექტორების ღვაწლი, რომელთაც არა მხოლოდ ღრმა თეორიული ცოდნა გადმოგვცეს, არამედ მუდმივად გვიზიარებდნენ პრაქტიკულ გამოცდილებას, ქმნიდნენ მოტივირებულ გარემოს და ხელს გვიწყობდნენ განვითარებაში. მინდა მადლობა გადავუხადო ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, შინაგანი მედიცინის N1 დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორ მედეა ჯღარკავას და თსსუ-ის საექთნო და სამეანო საქმის პროგრამების მდივანს, ქალბატონ ნინო თეზელაშვილს. მათი გულისხმიერი, ადამიანური დამოკიდებულება მუდამ მემახსოვრება და სამაგალითო იქნება ჩემთვის.

უნივერსიტეტში სწავლის წლები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი ეტაპი იყო ჩემს ცხოვრებაში; მადლობა ჩემს საყვარელ Alma Mater-ს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, რომელმაც მყარი საძირკველი და საუკეთესო პირობები შეგვიქმნა მომავალი კარიერული წინსვლის და განვითარებისთვის.

ლელა ფირცხელიანი,
საექთნო საქმის ქართულ-ავსტრიული
საბაკალავრო პროგრამის
კურსდამთავრებული

სკოლის დასრულება, „ბოლო ზარი", მანამდე უცნობ, ყველაზე გულწრფელ ემოციას გაზიარებს, რომელსაც თან ახლავს ნოსტალგია; ეს განცდა მიგყვება შემდეგაც, როცა კლასელებს კურსელები და გაკვეთილს ლექცია/სემინარი ჩაანაცვლებს. თანდათან ეჩვევი ახალ გარემოს და უფრო და უფრო გიჭირს უნივერსიტეტთან განშორება.

მედიცინაში წარმატებული კარიერა, სირთულეების და გამოწვევების გათვალისწინებით, ვფიქრობ, ადვილი არ არის და მნიშვნელოვანია ის სივრცე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საიდანაც იწყებ: ჩვენი Alma Mater – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კი განსაკუთრებული და გამორჩეული იმიტომაცაა, რომ ტრადიცია ასე ბუნებრივად თანხვდება და ერგება ინოვაციას.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე, თეორიული მზადების გარდა, დავეუფლეთ კლინიკურ უნარ-ჩვევებს ფაკულტეტში ინტეგრირებულ სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკურ ცენტრში. მნიშვნელოვანი იყო პაციენტებთან კომუნიკაცია – კლინიკური აზროვნებაც ხომ სხვადასხვა კლინიკური შემთხვევის განხილვით და გაანალიზებით ყალიბდება.

გარდა იმისა, რომ უნივერსიტეტში ცოდნა შევიძინე, ვისწავლე რაციონალური აზროვნება, პრობლემებთან დამოუკიდებლად გამკლავება, საჭირო დროს სწორი გადაწყვეტილების მიღება, ავითვისე ის უნარ-ჩვევები, რასაც ვერც სამედიცინო ლიტერატურაში ამოიკითხავ და ვერც ხელოვნური ინტელექტით დააზუსტებ... ჩემთვის მნიშვნელოვანია ის ურთიერთობები, რასაც სწორედ ამ უნივერსიტეტში ჩაეყარა საფუძველი – აქ გავიცანი მართლაც საუკეთესო ადამიანები, რომლებთანაც მომავალშიც გავაგრძელებ მეგობრობას.

აბიტურიენტებს კი, რომლებიც პროფესიულ საქმიანობას მედიცინას დაუკავშირებენ, ვეტყოდი, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საუკეთესო არჩევანია მათი მომავალი პროფესიული და პიროვნული განვითარებისთვის.

ანანო ხინიკაძე,
ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის
ფაკულტეტის კურსდამთავრებული

წერილები Alma-Mater–ს

ჩემი სტუდენტობის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი პერიოდი გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას უკავშირდება. ორჯერ მომეცა საშუალება, გავცნობოდი სხვა ქვეყნების მიდგომებს ჩვენს სფეროში. ეს იყო არა მხოლოდ ცოდნის გაღრმავების, არამედ კულტურული გამოცდილების მიღების უნიკალური შანსი, რომელმაც ჩემი თვალსაწიერი კიდევ უფრო გააფართოვა და მომავალი პროფესიული განვითარებისთვის მოტივაცია შემმატა.

ამ ოთხი წლის განმავლობაში შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი და ფასეული ჩემთვის ის ადამიანები არიან, რომლებსაც სწორედ საუნივერსიტეტო სივრცეში დავუკავშირდი: ჩემი ჯგუფელები, კურსელები, ლექტორები... მათთან თანამშრომლობა და ურთიერთობა საუკეთესო გამოცდილება იყო. რა თქმა უნდა, მყავს ფავორიტები, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ჩემი ხედვის ჩამოყალიბებაში სხვადასხვა საკითხის მიმართ, ასევე – ჩვენი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებაში.

მიხარია, რომ, წლების შემდეგ, სტუდენტობის ხანა მხოლოდ ბედნიერ მოგონებებთან იქნება დაკავშირებული, რადგან ეს იყო არა მხოლოდ აკადემიური ზრდის, არამედ პიროვნული განვითარების პერიოდი, რომელიც სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

მარიამ ჩიტაია,
ფიზიკური მედიცინის და
რეაბილიტაციის
ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

ძალიან სწრაფად გაირბინა სტუდენტობის ოთხმა წელმა, რომელიც სავსე იყო გამოწვევებით, აღმოჩენებით და, რაც მთავარია, საინტერესო ადამიანური ურთიერთობებით, რამაც ჩემი სტუდენტური ცხოვრება დაუვიწყარი გახადა.

სტუდენტობის საწყისი პერიოდი, ბუნებრივია, ყველაზე რთული აღმოჩნდა. ახალ გარემოსთან ადაპტაცია ერთგვარი ბარიერი იყო ჩვენთვის, თუმცა, ამ ყველაფერთან გამკლავება გაცილებით მარტივი აღმოჩნდა, რადგან გვერდით არაჩვეულებრივი ჯგუფელები მყავდნენ. მართლაც, გამიმართლა, რომ ასეთ გამორჩეულ ადამიანებთან ერთად მომიხდა ამ გზის გავლა.

შემდგომ წლებში ნელ-ნელა დავაგროვეთ საბაზისო ცოდნა და დავიწყეთ იმის გაცნობიერება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი როლი ჯანდაცვის სისტემაში. ნათლად დავინახეთ, როგორ შეგვეძლო ჩვენი ცოდნის გამოყენება მომავალში, ჩვენი წვლილის შეტანა უკეთესი მომავლის შექმნაში. დამამთავრებელ კურსზე უკვე სრულად დავაკავშირეთ ინფორმაციები ერთმანეთთან, ავარჩიეთ ჩვენი ინტერესის მთავარი სფეროები, განვლილი სამი წელი თითქოს ამ ყველაფრისთვის გვამზადებდა.

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, ფარმაცევტობა რომ გადავწყვიტე. უმნიშვნელოვანესი და საპასუხისმგებლოა, შეეჭიდო პროფესიას, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვას მოიაზრებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შემობიჯებით ჩემთვის ახალი ცხოვრება დაიწყო – ჩვენი Alma-Mater ხომ საუკეთესო ტრადიციების, ღირებულებების, ბედნიერი აწმყოსა და წარმატებული მომავლის სიმბოლოა.

თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში უდიდესია პროფესორ-მასწავლებელთა წვლილი, რომლებიც დღენიადაგ ახალგაზრდა თაობის პროფესიულ და პიროვნულ ზრდაზე არიან ორიენტირებულნი.

პედაგოგები, მეგობრები, სტუდენტური ცხოვრება, ძალიან საინტერესო და ხშირად სახალისოც იყო... სიახლეების წვდომა კი ინტერესს აჩენდა ფარმაციის, როგორც მეცნიერების დარგის, მიმართ...

არაერთ სირთულესაც წავაწყდით სწავლის პროცესში, თუმცა უნივერსიტეტში გატარებული დღეები, პრაქტიკული თუ თეორიული მეცადინეობები, გამოცდები და, რაც მთავარია, ადამიანები, საუკეთესო მოგონებად დარჩებიან ჩემს მეხსიერებაში...

ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ თსსუ ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა და ახლა უკვე, როგორც კურსდამთავრებული, მზად ვარ სხვა გამოწვევებისთვის ვიბრძოლო; მჯერა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა აუცილებლად დამეხმარება შემდგომ პროფესიულ წინსვლასა და განვითარებაში.

ლიკა გასილაშვილი,
ფარმაციის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული



პროფესიის არჩევა თითოეული ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვანი და გარდამტეხი მომენტია. სამედიცინო სფერო ბავშვობიდანვე საინტერესო იყო ჩემთვის, ამიტომ გადავწყვიტე, ბავშვობის ოცნება რეალობად მექცია და მომავალი პროფესიული საქმიანობა მედიცინასთან დამეკავშირებინა.

უნივერსიტეტში გატარებული 4 წლის განმავლობაში იყო შემხვედრი სირთულეები სწავლის პროცესში, თუმცა შრომა ყოველთვის ფასდება და ამაში დავრწმუნდი, როცა რამდენჯერმე სახელმწიფო სტიპენდია, შემდეგ კი თამაზ ბექაიას სახელობის საგანმანათლებლო ფონდის სტიპენდია მოვიპოვე.

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე გაცნობილმა ადამიანებმა უფრო მეტად შემაყვარეს ჩემი პროფესია და მომცეს მოტივაცია პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის.

ჩემი პროფესია შედარებით ახალია და, საზოგადოების ნაკლებინფორმირებულობის გამო, ხშირია მასზე მცდარი წარმოდგენები, თუმცა აღსანიშნავია, რომ უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი როლი ენიჭება პაციენტის გამოჯანმრთელების საქმეში.

მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად სწავლის გაგრძელებას ისევ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ვაპირებ და მჯერა, რომ პროფესიული ზრდისთვის ეს ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი და სწორი გადაწყვეტილება იქნება.

იმ ახალგაზრდებს კი, რომლებსაც სურვილი აქვთ ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე გააგრძელონ სწავლა, ვეტყოდი, რომ თუკი განვითარების გზაზე სირთულე და იმედგაცრუება შეგხვდებათ, არ დანებდეთ! ყველა წარმატებული ოდესღაც დამწყები იყო, წარმატებისკენ მიმავალი გზა კი ყოველთვის ია-ვარდით მოფენილი როდია.

ქეთევან გედიანაშვილი,
ფიზიკური მედიცინის და
რეაბილიტაციის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე 2021 წელს ჩავაბარე – კოვიდპანდემიის აქტიურ პერიოდში, რამაც ძირითადად განაპირობა კიდეც ჩემი მომავალი პროფესიული არჩევანი.

COVID-19-ის პანდემიამ დაგვანახა თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სისტემის გამართული ფუნქციონირება და რა გადამწყვეტია ამ დროს პრევენცია, სწორი მართვა და, ზოგადად, საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ზრუნვა. სწორედ მაშინ გავაცნობიერე, რომ მინდა გავხდე იმ სისტემის ნაწილი, რომელიც არა მხოლოდ მკურნალობაზე, არამედ დაავადებების თავიდან აცილებაზე, ჯანსაღი გარემოს შექმნასა და საზოგადოებრივ კეთილდღეობაზეა ორიენტირებული.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგი ჩემთვის არა მხოლოდ პროფესია, არამედ მოწოდებაა. ჯანდაცვა ის სფეროა, სადაც თითოეული გადაწყვეტილება ასახვას ჰპოვებს ადამიანების ყოველდღიურობაზე. საზოგადოებრივი ჯანდაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, რომლის მართვა ცოდნას, პასუხისმგებლობას და გულისხმიერებას საჭიროებს.

უნივერსიტეტმა მომცა მყარი თეორიული საფუძველი, პრაქტიკული უნარები და შესაძლებლობა, მემუშავა პროფესიონალებთან, რომლებიც განვითარებისთვის დღეს აც გვერდით მიდგანან.

მომავალს დიდი ენთუზიაზმით შევყურებ – ვგეგმავ განათლების გაღრმავებას ეპიდემიოლოგიის მიმართულებით, რათა შევძლო მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებაში, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე – გლობალურად.

ანა ჭყონია,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ფაკულტეტის (საზოგადოებრივი
ჯანდაცვის და მენეჯმენტის
საბაკალავრო პროგრამა)
კურსდამთავრებული

სამედიცინო უნივერსიტეტმა მრავალფეროვანი, საინტერესო და გამოწვევებით აღსავსე ცხოვრება მისახსოვრა. სკოლის პერიოდიდანვე მინდოდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში თავის დამკვიდრება, რადგან კარგად მქონდა გაცნობიერებული, რომ დარგის მიზანი ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვა, დაავადებათა თავიდან აცილება და სიცოცხლის გახანგრძლივებაა და, ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ სამედიცინო და საზოგადოებრივ სისტემათა ერთობლიობა ყველაზე მეტად შეესაბამება ჩემს ინტერესს.

უნივერსიტეტმა არაერთგზის მომცა საშუალება, სახელმწიფო სტიპენდიატი გავმხდარიყავი, რაც ყოველთვის დიდ მოტივაციას მაძლევდა, უფრო მეტად გამეღრმავებინა აკადემიური ცოდნა და ამემაღლებინა თვითშეგნება. ვმონაწილეობდი სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებში, კერძოდ, დასამახსოვრებელი გამოდგა საქმიანობა ჩემს საყვარელ ლექტორთან და ჯგუფელებთან ერთად, კონფერენციის – „21-ე საუკუნის გამოწვევები სამედიცინო სფეროში“ – მოსამზადებლად, რამაც მომცა საშუალება, მიღებული ცოდნა გამომეყენებინა პრაქტიკულ საქმიანობაში.

ვამაყობ, რომ წარმატებული და გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლებისა და საუკეთესო მეგობრების გარემოცვაში გაიარა ჩემმა სტუდენტურმა წლებმა. სამომავლოდ ეპიდემიოლოგობას ვაპირებ და მსურს წვლილი შევიტანო ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებაში.

ელენე ხაჩიძე,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

სასამართლო ექიმთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

28 ივნისს ჩატარდა სასამართლო ექიმთა მე-9 სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელსაც, ტრადიციულად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მასპინძლობდა. ღონისძიების ორგანიზატორები გახლდნენ: თსსუ, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო და საქართველოს სასამართლო ექიმთა ასოციაცია.

კონფერენცია მიეძღვნა სასამართლო მედიცინის ღვაწლმოსილი წარმომადგენლის, პროფესორ **თეიმურაზ გორდელაძის,** დაბადებიდან 100 წლისთავს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუმრები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან, სპეციალური საგამოძებო სამსახურიდან.

კონფერენციაზე განხილული იყო სასამართლო მედიცინის, სასამართლო სამედიცინო ანთროპოლოგიის, თანატოლოგიისა და ექსპერტიზის აქტუალური საკითხები.

კონფერენციაში მონაწილე 75-ზე მეტ სასამართლო ექიმსა და ექსპერტს, კონფერენციის დასასრულ, მიენიჭა სერტიფიკატი.

გავესაუბრეთ კონფერენციის მონაწილეებს, რომლებმაც ყურადღება გაამახვილეს სასამართლო ექიმთა ყოველწლიური კონფერენციის ჩატარების მნიშვნელობაზე და სითბოთი და პატივისცემით გაიხსენეს პროფესორი თეიმურაზ გორდელაძე.

პროფესორი **ბესარიონ კილასონია**, თსსუ-ის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი 1998-2021 წლებში, ცნობილი სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სასამართლო ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტი:

სასამართლო ექიმთა კონფერენცია, რომელიც ყოველწლიურად ტარდება თსსუ-ში, წელს სასამართლო მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ბატონი თეიმურაზ გორდელაძის 100 წლისთავს მიეძღვნა; ბატონ თეიმურაზთან მრავალწლიანი თანამშრომლობა მაკავშირებდა და, შემიძლია ვთქვა, რომ იშვიათი პროფესიონალი და გამორჩეული ღირსებებით შემკული ადამიანი გახლდათ. აღსანიშნავია, რომ ის იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (მაშინ – ინსტიტუტის) კურსდამთავრებულთა იმ პლეადის წარმომადგენელი, რომელთა შორის იყვნენ შემდგომ სამედიცინო საზოგადოების სახელოვანი მოღვაწენი, პროფესორ-მასწავლებლები: **ეთერ ბოცვაძე, რევაზ კაპანაძე, უჩა გაბუნია, ოთარ ჩახუნაშვილი** და სხვები... უნდა ითქვას, რომ იგი სამკურნალო ფაკულტეტის ამ გამორჩეულ ჯგუფშიც საუკეთესო იყო, რაზეც მისი სტალინური სტიპენდიატობაც მეტყველებს, რაც მაშინ სტუდენტის ცოდნის უმაღლეს დონეზე შეფასების გამოხატულება და ყველაზე დიდი აღიარება იყო. თეიმურაზ გორდელაძემ, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, საქმიანობა დაიწყო სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრაზე, რომელიც დაარსებისთანავე იქცა პათოლოგანატომიური სამსახურის ცენტრად ჩვენს ქვეყანაში. კათედრის ხელმძღვანელი გახლდათ პათოლოგიური ანატომიის ფუძემდებელი საქართველოში, აკადემიკოსი ვლადიმერ ჟღენტი, კათედრაზე კი დარგის საუკეთესო წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ: **არკადი ჯორბენაძე, ირაკლი ტატიშვილი, თამარ დეკანოსიძე, ლუარსაბ შარაშიძე...** ამ კათედრაზე მან განვლო გზა კათედრის ლაბორანტობიდან პროფესორობამდე და, გარდა პროფესიონალისა, საუკეთესო ორგანიზატორად და მენეჯერად წარმოჩინდა: გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პათოლოგანატომთა ძველი, თავდაპირველი კორპუსის მშენებლობა, სამედიცინო აპარატურით აღჭურვა, ნიჭიერი ახალგაზრდების მოძიება და კათედრის საქმიანობაში აქტიურად ჩართვა, ბატონი თეიმურაზის დიდი დამსახურებაა; ქალბატონ თამარ დეკანოსიძესა და სახელოვან კოლეგებთან ერთად, დიდია მისი წვლილი იმაში, რომ პათოლოგიური ანატომიის კათედრა იმთავითვე თსსი-ის გამორჩეულ კათედრად იქცა. ასევე, დაუღალავად იღვაწა მან სასამართლო მედიცინის კათედრაზე, როცა ამ კათედრას ხელმძღვანელობდა.

ბატონ თეიმურაზთან ჩემი ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ ჩემი სტუდენტობის პერიოდში, როგორც სტუდენტისა – მასწავლებელთან, შემდეგ – ჯერ პათოლოგანატომიის, შემდეგ სასამართლო მედიცინის კათედრაზე გრძელდება და საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს – ოთხ ათეულ წელზე მეტს – მოიცავს. მასზე, როგორც მასწავლებელზე, კოლეგაზე, უფროს მეგობარსა და არაჩვეულებრივ ადამიანზე, მხოლოდ დადებით კონტექსტში შემიძლია ვისაუბრო, რადგან, ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე, გარდა პროფესიულისა, ჩვენი ურთიერთობა იყო მეგობრული და დიდ პატივისცემაზე დაფუძნებული.

100 წელი მნიშვნელოვანი თარიღია და, ბუნებრივია, რომ დღეს ჩვენ ამ თარიღს აღვნიშნავთ და ბატონ თეიმურაზს ვიხსენებთ, მით უფრო, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყოველთვის პატივს მიაგებდა და მიაგებს ადამიანებს, ვინც ქმნიდნენ სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიას. ამის დასტურია თსსუ-ის სლოგანიც – „ტრადიციებით მომავლისკენ“. ღვაწლმოსილთა დაფასება და მათ მიერ განვლილი გზის გახსენება მაგალითია მომავალი თაობისთვისაც, რომ მანაც ღირსეულად გააგრძელოს ის ტრადიციები, რასაც ბატონი თეიმურაზის მსგავსმა გამორჩეულმა პროფესიონალებმა ჩაუყარეს საფუძველი, რომელთა პროფესიული მოღვაწეობის ბიოგრაფია განსაკუთრებული ფურცელია თსსუ-ის ისტორიაში.

პროფესორი **რუსუდან ბერიაშვილი**, თსსუ-ის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

სასამართლო ექიმთა კონფერენცია ტრადიციულია არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ყოველწლიურად ტარდება, არამედ იმიტომაც, რომ ეს არის პლატფორმა, სადაც როგორც პრაქტიკოსი ექსპერტები, ისე – დეპარტამენტსა თუ არასამთავრობო სექტორში მოღვაწე სასამართლო ექიმები მსჯელობენ, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ისახება მომავლის გეგმები... მოგეხსენებათ, ამგვარი ხასიათის შეხვედრა წარმოაჩენს პრიორიტეტულ მიმართულებებს და იმ აქტუალურ საკითხებს, რომლის მოგვარებაც უმნიშვნელოვანესია დარგის განვითარებისთვის. ამ თვალსაზრისით კონფერენცია მართლაც უნიკალური მოვლენაა ჩვენს სფეროში, რომელიც, ერთდროულად, სამუშაო და მეგობრული შეხვედრაც არის და გვაძლევს ძალიან კარგ შესაძლებლობას, რომ მოვისმინოთ ერთმანეთის პოზიცია, ხედვა ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის მიმართულებით და მხოლოდ საკუთარი, ვიწრო ჭრილიდან არ ვხედავდეთ დარგის განვითარების პერსპექტივას.

ყოველ წელს განსხვავებულია კონფერენციის თემატიკა – ან ვსაუბრობთ მნიშვნელოვან მიღწევებზე, რაც ბოლო პერიოდში განხორციელდა, ან კვლევებზე, ან იდეებზე, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს სასამართლო მედიცინა. წელს, განსხვავებით სხვა კონფერენციებისგან, მოხსენებები პრაქტიკოსმა ექსპერტებმაც წარმოადგენეს, განიხილეს კონკრეტული საინტერესო შემთხვევები და, მსჯელობის შედეგად, პრობლემების გადაჭრის გზებიც გამოიკვეთა.

წლევანდელი კონფერენცია ჩვენი ღვაწლმოსილი პროფესორის, კათედრის ყოფილი გამგის, თეიმურაზ გორდელაძის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა. მე კათედრაზე სწორედ მისი ხელმძღვანელობის დროს მოვედი, ჩვენი თანამშრომლობაც კარგა ხანს გაგრძელდა და შემიძლია ვთქვა, რომ, პროფესიონალიზმთან ერთად, აღსანიშნავია მისი პიროვნული ღირსებები – ის გახლდათ არაჩვეულებრივი ადამიანი და მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო, რომ გარდაცვალების შემდეგაც გააგრძელო სიცოცხლე...

ნატო გოლძვაძე

სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება განვლილ წელს აჯამებს

ივლიანე სურმავა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებული, ამჟამად ივანე თარხნიშვილის სახელობის სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტია. გადავწყვიტეთ შევხვედროდით და იმ სიახლეების შესახებ გვესაუბრა, რაც უმნიშვნელოვანესია როგორც მეცნიერული კვლევა-ძიებით დაინტერესებული სტუდენტებისთვის, ასევე, ზოგადად, – უნივერსიტეტისთვის. აღსანიშნავია, რომ იგი აგრეთვე არის „სტუდენტური სიმულაციური კლუბის“ თანადამფუძნებელი და პრეზიდენტი, რომელიც 2023 წელს, პროფესორ **ირმა მანჯავიძის** მხარდაჭერით, თსსუ-ის კლინიკური უნარ-ჩვევებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციების დეპარტამენტის ბაზაზე ჩამოყალიბდა.

– როდის გაგიჩნდათ ინტერესი სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვისა? ვფიქრობ, ასე რომ არ ყოფილიყო, ალბათ, ნაკლებადაც გექნებოდათ მოტივაცია სათავეში ჩადგომოდით სტუდენტურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას უნივერსიტეტში.

– მეცნიერება მუდამ მიზიდავდა, განსაკუთრებით – სამედიცინო მეცნიერება. სტუდენტი როგორც კი გავხდი, დავიწყე მცდელობა, ამ მიმართულებით მემუშავა, თუმცა ოფიციალურად ორგანიზაციაში ჩართვა მხოლოდ მეხუთე სემესტრიდან გავბედე, ვინაიდან თავიდანვე ვგრძნობდი დიდ პასუხისმგებლობას. სწორედ მაშინ, მე და ჩემმა ჯგუფელმა, ანა ხულელიძემ, გადავწყვიტეთ, მოგვეძიებინა პლატფორმა, სადაც შევძლებით მეცნიერული უნარების გამომუშავებას და დახვეწას, არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ ისე, რომ სხვასაც გამოვდგომოდით. ანას მამა ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ყოფილი თავმჯდომარე გახლავთ, რამაც განაპირობა ჩვენი ამ ორგანიზაციაში ჩართვა და მაღლევე მივხვდით თუ რა დიდი ისტორიის ნაწილი გავხდით. პასუხისმგებლობა დღიდან დღემდე მემატებოდა და, მასთან ერთად, – მოტივაციაც. ერთი წლის მერე საზოგადოებაში საქმიანობა ჩემთვის უპირველესი აღმოჩნდა, რაც დაფასდა კიდეც და გავხდი სამეცნიერო საზოგადოების გენერალური მდივანი. სამი წლის შემდეგ კი, გასული წლის ოქტომბერში, არჩევნების შედეგად, თსსუ-ის ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტად ამირჩიეს. პირველი ნაბიჯები შიდა სტრუქტურის გამართვა იყო და, რა თქმა უნდა, – ინტენსიური აქტივობების დაწყება ისე, რომ ხარისხი შესაფერისი ყოფილიყო. სამწუხაროდ, ქვეყანაში შექმნილი მოვლენების გამო, წინა სემესტრი აქტივობების მხრივ პროდუქტიული არ გამოდგა, თუმცა, შიდა სტრუქტურის მოსაწესრიგებლად, იდეალური დრო გაგვიჩნდა. მივიღეთ ახალი წევრებიც, რომლებიც მაქსიმალურად ქმედითუნარიანად გავანაწილეთ ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულებში. იანვრიდან კი, ორი ტრადიციული – ქართული და უცხოურენოვანი კონფერენცია გავმართეთ, რომლებიც აქტიურობის საინტერესო ნიშნულით გამოირჩა – კონფერენციებში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი 40-ზე მეტი იყო, საქართველოს 5 სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, ამ დროს კი კონფერენციაზე დასაშვებ მოხსენებათა რაოდენობა მხოლოდ 10 იყო...

– რამდენად დიდია დღევანდელ ახალგაზრდათა სურვილი, თავიანთი მომავალი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას დაუკავშირონ?

– აქ ალბათ გამოვიყენებდი ჩვენი უნივერსიტეტის სლოგანს – „ტრადიციებით მომავლისკენ“. მეცნიერთა აღზრდის ტრადიცია უკონკურენტო და, ამავე დროს, ძალიან მოსაფრთხილებელია. მომავალს მუდამ მოაქვს ცვლილებები. გავიხსენებ დიდი ივანე თარხნიშვილის სიტყვებს – ,,მოვა დრო, როცა მეცნიერება ყოველდღიურობა გახდება“. სწორედ ასეა, დღევანდელი გამოწვევები მოითხოვს პრაქტიკისა და მეცნიერების შერწყმას ნებისმიერ საფეხურზე. მედიცინის განვითარება, ზოგადად, მეცნიერებას ეფუძნება და დღევანდელ გამრავლფეროვნებულ დაავადებებსა თუ დაავადებათა ფორმებში, ეს მიდგომა გარდაუვალია.

– ვფიქრობ, განსაკუთრებული იქნება ამ საქმეში თქვენი უფროსი მეგობრების – პროფესორ-მასწავლებლების, როლი – ჩართულობის, რჩევა-დარიგებების მიღების, აზრის გაზიარების თუ კონსულტირების თვალსაზრისით, რადგან კომპეტენტურობა და გამოცდილება, ყველა საქმეში უმნიშვნელოვანესია.

– ნამდვილად ასეა. მხარდაჭერა და ინტერესი სტუდენტური სამეცნიერო საქმიანობის მიმართ ძალიან დიდია. მადლიერება მინდა გამოვხატო თსსუ-ის რექტორის, **პროფესორ ირაკლი ნატროშვილის**, მიმართ, რომელიც მუდამ მზადაა ჩვენი მხარდაჭერისთვის, რითიც დიდ მოტივაციას აღვივებს თითოეულ ჩვენგანში. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო თსსუ-ის ვიცე-რექტორს სამეცნიერო მიმართულებით, **პროფესორ სოფიო ბახტაძეს**, რომელიც მუდამ დაინტერესებულია ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობის თითოეული დეტალით და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კიდეც მის სრულყოფაში. მადლობა მინდა ვუთხრა თითოეული ფაკულტეტის დეკანს, რომლებიც მუდმივად მზად არიან დახმარებისთვის, განსაკუთრებით კი მინდა აღვნიშნო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის, **პროფესორ შალვა (დავით) ზარნაძის**, ამაგის შესახებ, იგი თავის ხელთ არსებულ ყველანაირ რესურსს იყენებს ჩვენი საზოგადოებისა და, ზოგადად, სამეცნიერო საქმიანობის საუკეთესოდ განხორციელებისთვის. რა თქმა უნდა, მადლობელი ვართ ყველა პროფესორ-მასწავლებლის, რომელიც დაუზარლად შრომობს სტუდენტებთან ერთად.

– თანამოაზრეთა ჯგუფი შემოიკრიბეთ. ვინ არიან ისინი და რამდენად ეფექტურად და მიზანმიმართულად ახერხებთ საქმიანობის საუნივერსიტეტო მასშტაბით წარმართვას?

გუნდური მუშაობის გარეშე არაფერი გამოვა და ამ მხრივ, ძალიან გამიმართლა. გუნდში თავი მოიყარეს უნიკალური შესაძლებლობების მქონე სტუდენტებმა. სწორედ მათი დამსახურებით, რამდენიმე თვეში შევძელით ორგანიზაციის ფეხზე დაყენება და გამორჩეული კონფერენციების ჩატარება. სიმართლე გითხრათ, ძალიან რთულია, ვინმე გამოვყო. ეს არის ნაკრები ძველი და ახალი წევრებისა სხვადასხვა ფაკულტეტიდან. სწორედ მათი ერთობლივი მუშაობის შედეგია მიღწეული.

– მიმდინარე სასწავლო წლის მაის-ივნისის თვეები მეტად ნაყოფიერი გამოდგა სამეცნიერო კონფერენციების გამართვის თვალსაზრისით; უდავოა, რომ ახალგაზრდების მიერ წარდგენილმა ნაშრომებმა უფროსი კოლეგების ყურადღება მიიქცია და ამ მიმართებით შემდგომი კვლევა-ძიების სურვილიც გააჩინა.

– ამ სემესტრში 12-მდე ღონისძიება გავმართეთ, რომელთა ხარისხი, პროფესორ-მასწავლებელების შეფასებით, საკმაოდ მაღალი იყო. გამორჩეული იყო მაისი-ივნისის კონფერენციათა ციკლი – „წარმოაჩინე შენი ფაკულტეტი“, ჩვენი უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტთა მონაწილეობით. ჯამში გაიმართა 6 სასწავლო-სამეცნიერო კონფერენცია და მე-7 დასკვნითი ღონისძიება. ტრადიცია, შეიძლება ითქვას, გავაცოცხლეთ; გვინდოდა, თითოეული ფაკულტეტის ჩართულობა გაგვეზარდა, რადგან ჩვენთვის პრიორიტეტია თანაბარწილად დავაინტერესოთ მეცნიერებით ყველა ფაკულტეტის სტუდენტები. ამ მხრივ კი პროექტმა ნამდვილად გაამართლა. ყველაფერი საჭიროებს გაუმჯობესებას და ამ მიზნით, პროექტშიც დაგეგმილი გვაქვს ცვლილებების შეტანა.

– სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები შეიკრიბნენ საიუბილეო შეხვედრაზე 16 ივნისს, ივ. თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების დაარსების 78-ე წლისთავს რომ მიეძღვნა. ნამდვილად საამაყოა, ამდენი წარმატებული თსსუ-ელის ერთად ხილვა... რას გვეტყვით ამ შეხვედრაზე?

– აღნიშნული ღონისძიება იყო ნამდვილი ზეიმი. გავიხსენეთ ჩვენი საზოგადოების ისტორია, საზოგადოების ყოფილ თავმჯდომარეებთან და აქტიურ წევრებთან ერთად, რაც მეტად ამაღელვებელი გამოდგა. მათგან მივიღეთ საჩუქრებიც, მათ შორის, – ორგანიზაციის 1970-იანი წლების მედალიონი და იმდროინდელ აბსტრაქტთა კრებულები... გვქონდა ფილმის ჩვენებაც, რომელიც ორგანიზაციის წევრებმა შექმნეს საზოგადოების განვლილი ისტორიის შესახებ; ბოლოს კი წარვადგინეთ წლიური ანგარიშიც, რამაც აუდიტორიის მოწონება დაიმსახურა.

– იმედია, საქმე, რომლის საფუძველი სამედიცინო უნივერსიტეტში ათეულწლების წინათ ჩაიყარა, კვლავაც პრიორიტეტული იქნება მედიცინის მეცნიერებათა განვითარების თვალსაზრისით, ქართველი საზოგადოება კი ბევრჯერ გახდება ახალი თაობის გამარჯვების მოწმე და თვითმხილველი.

ესაუბრა დარეჯან კომლაძე

ღია კარის დღეზე



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 7 ივნისს, ღია კარის დღეზე, შეკრებილ უამრავ აბიტურიენტს მასპინძლობდა.

უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ჰოლში საგანგებოდ მოწყობილ სივრცეში აბიტურიენტები თსსუ-ის ფაკულტეტების ქართულენოვანი და უცხოურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის, საექთნო საქმის ქართულ-ავსტრიული და სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამების, საუნივერსიტეტო კლინიკების და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საუნივერსიტეტო ცენტრების წარმომადგენლობით კუთხეებს გაეცნენ და ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს სწავლების პირობებისა და პროფესიული განვითარების პერსპექტივის შესახებ.

თსსუ-ში სწავლის მსურველ ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონდათ ციფრულად, VR სათვალეების გამოყენებით, ემოგზაურათ თსსუ-ში, ასევე, მონაწილეობა მიეღოთ საინტერესო პრაქტიკულ და ინტერაქტიულ აქტივობებში, თვალი ედევნებინათ და, თანამედროვე სიმულატორების და მულაჟების გამოყენებით, თავადაც განეხორციელებინათ კლინიკური უნარ-ჩვევების ათვისებისთვის საჭირო მანიპულაციები.

„თეატრალურ დარბაზში" ორგანიზებულ შეხვედრაზე აბიტურიენტებს მიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ირაკლი ნატროშვილმა**, რომელმაც მადლობა გადაუხადა მათ უნივერსიტეტით დაინტერესებისთვის და ესაუბრა იმ შესაძლებლობებზე, რასაც თსსუ სთავაზობს სწავლის მსურველებს როგორც მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების მიღების, ისე აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაში ჩართვის თვალსაზრისით.

თსსუ-ის რექტორმა, ვიცე-რექტორებმა, ფაკულტეტების დეკანებმა და სხვადასხვა პროგრამის ხელმძღვანელებმა ამომწურავად უპასუხეს აბიტურიენტებისთვის საინტერესო შეკითხვებს.

ჩვენ გავესაუბრეთ რამდენიმე აბიტურიენტს, რომლებმაც სიამოვნებით გაგვიზიარეს შთაბეჭდილებები:

„დიდი ხანია გადაწყვეტილი მაქვს, რომ ექიმი გავხდე. აბიტურიენტობის პერიოდში დიდ დროს ვუთმობდი მეცადინეობას, რადგან ვიცი, რომ თსსუ-ში ჩარიცხვა ადვილი არ იქნება; გარდა ამისა, სტუდენტობის პერიოდშიც და მომავალშიც, დიდი შრომა დამჭირდება, რადგან ექიმი სულ უნდა სწავლობდეს, ეძიებდეს სიახლეებს, თეორიულ ცოდნასთან ერთად შეიძინოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები... ერთი სიტყვით, წინ გრძელი და რთული გზაა, რომელსაც, იმედია, ღირსეულად გავართმევ თავს".

სანდრო, 17 წლის

„ექიმობა ჩემი დიდი ხნის ოცნებაა. ბავშვობიდანვე მომწონდა პროფესია, რომელიც ადამიანის დახმარების სურვილს, ჰუმანიზმს ეფუძნება. ჩემი არჩევანი მედიცინის ფაკულტეტია. მინდა კარდიოლოგი გავხდე, თუმცა, გადაჭრით ჯერ ძნელია თქმა – შესაძლოა, სტუდენტობის პერიოდში შევცვალო გადაწყვეტილება და სულ სხვა გზით წავიდე მედიცინაში. ამ ეტაპზე, რაც დანამდვილებით ვიცი, ისაა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტს ვირჩევ და დარწმუნებული ვარ, ჩემი მოლოდინი გაამართლებს".

ბექა, 18 წლის

„ჯერ კიდევ სკოლის პერიოდიდან მინდოდა ექიმობა, მაგრამ რომელ უმაღლეს სასწავლებელში ჩავაბარებდი, ზუსტად არ ვიცოდი. დღევანდელმა დღემ დიდი გავლენა მოახდინა ჩემს არჩევანზე – დავრწმუნდი, რომ აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბდე; სწორედ ამიტომ, ვირჩევ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს".

გიორგი, 19 წლის

„ჩემი პროფესიული არჩევანი, ექიმობის სურვილთან ერთად, მშობლების ზეგავლენამაც განაპირობა – ორივე ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და ყოველთვის დიდი სიყვარულით მოიხსენიებენ Alma Mater-ს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, თუმცა, მათი რჩევა, ცხადია, ვერ იქნებოდა გადამწყვეტი, რომ არა ჩემი მოწადინება – გავმხდარიყავი საქართველოში ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტი, რომელმაც არაერთი სასახელო ექიმი აღუზარდა ჩვენს სამშობლოს..."

ანა, 18 წლის

ნატო ბოლქვაძე

თსსუ-ის სიმღერისა და ცეკვის სახალხო დამსახურებული ანსამბლის ვაჟთა გუნდი და გოგონათა ანსამბლი „დეკა" ფოლკლორულ ფესტივალზე დაჯილდოვდა

21 ივნისს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში თბილისის ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდების ფოლკლორული ფესტივალი გაიმართა, რომელიც დედაქალაქის საკრებულოს მხარდაჭერითა და თბილისის მერიის დაფინანსებით უკვე მეოთხე წელია ტარდება. ფესტივალის მიზანია არასახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი თბილისის ფოლკლორული გუნდების ხელშეწყობა.

ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდების უკვე ტრადიციადქცეულ ფოლკლორულ ფესტივალში მონაწილეობას სხვადასხვა ფოლკლორული გუნდები იღებენ. შემოქმედებითი საღამოს მონაწილეებს ჯილდოები და სიგელები დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარესთან, ოთარ გრიგოლიასთან ერთად, გადასცა საკრებულოს კულტურისა და განათლების კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა კახა ლაბუჩიძემ.

წელს ტრადიციულ მუსიკაში შეტანილი წვლილისთვის ათი ფოლკლორული ანსამბლი დაჯილდოვდა, მათ შორის, – თსსუ-ის სიმღერისა და ცეკვის სახალხო, დამსახურებული ანსამბლის მომღერალ ვაჟთა გუნდი და გოგონათა ანსამბლი „დეკა", ლოტბარი – დავით რატიანი.

ხმა წარსულიდან

95 წელი გავიდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თარიღიდან – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამოუკიდებელ ინსტიტუციად გამოყოფიდან, რაც, თბილისის უნივერსიტეტის რეორგანიზების შემდეგ, 1930 წლის 10 ივნისს, განხორციელდა. „სამედიცინო გაზეთის" (ადრე - „მედიცინის მუშაკის") არქივი ბევრ საინტერესო ინფორმაციას ინახავს და, გარდა იმისა, რომ მის ფურცლებზე აღბეჭდილი სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორია დღევანდელობის გადმოსახედიდან წარსულის გასააზრებლადაც მნიშვნელოვანია, ვფიქრობთ, უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ინტერესმოკლებული არ იქნება კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველს მედიცინის კორიფეთა ნააზრევი, მათი რჩევები თუ სურვილები სტუდენტებისადმი, ახალგაზრდა ექიმებისადმი, რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალობას; მით უფრო, რომ ისინი, მედიცინის ღირსეული და თვალსაჩინო წარმომადგენლები, სამედიცინო მეცნიერების და განათლების სათავეებთან იდგნენ და მათი ცხოვრება და მოღვაწეობა მაგალითია მომავალი თაობებისთვის.

რუბრიკა „ხმა წარსულიდან" ამ საიუბილეო თარიღს ეძღვნება.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სამედიცინო ინსტიტუტში სწავლა, ექიმობის — ამ მეტად რთული პროფესიის დაუფლება ყოველი თქვენგანის მოწოდებაა. საჭიროა, ამ შინაგან მოწოდებას სწავლის დაუოკებელი სურვილი შეუთავსოთ... იყო ექიმი, ეს იმას ნიშნავს, რომ კარგად იცნობდე სამედიცინო მეცნიერების ახალ-ახალ მონაპოვარს, იცნობდე ჰიპოკრატეს, დემოკრიტეს, არისტოტელეს, ავიცენას, ფანასკერტელის და სხვათა შესანიშნავ თხზულებებს და საექიმო კანონებს, დღითიდღე იღრმავებდე ცოდნას სამედიცინო მეცნიერებაში პერსპექტიული აღმოჩენებით...

ექიმი განათლებული ადამიანია... მუდამ გდევდეთ ინტერესი პროფესიული მოწოდებისადმი, არ შეუშინდეთ დროებით წარუმატებლობას, ძირფესვიანად შეისწავლეთ კანონები და დებულებები, რომელიც ძველმა თაობებმა დაგვიტოვეს, დაეუფლეთ მედიცინის მეცნიერებაში გამოკვლევისა და მკურნალობის მეთოდებს, რათა ყოველი პაციენტი ღიმილად იქცეს, ხოლო თქვენს პიროვნებაში კვლავ ახალი შემოქმედებითი ენთუზიაზმი ღვიოდეს...

პროფესორი იოსებ კვაჭაძე,
გაზეთი „მედიცინის მუშაკი", 1979 წელი

ჩვენთან, სამედიცინო საზოგადოებაში, ჯანდაცვის სისტემაში, ჯერ კიდევ მრავლად არის ნაკლი, მისი გამოსწორება არც ისე ადვილია, რადგან მისი მოგვარება ერთ პიროვნებაზე არ არის დამოკიდებული. აქ ყველამ კოლექტიურად უნდა ვიბრძოლოთ.

ცხოვრება ბრძოლაა, ძვირფასო ახალგაზრდებო და თითოეული თქვენგანი მზად უნდა იყოს ამ ბრძოლისთვის და ყოველი ბრძოლა გამარჯვებით უნდა დააგვირგვინოთ. გისურვებთ წინსვლას და წარმატებებს, სიწმინდით იარეთ თქვენ მიერ არჩეულ გზაზე!

პროფესორი კონსტანტინე ვირსალაძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
ინსტიტუტის რექტორი (1975-1985 წლებში),
გაზეთი „მედიცინის მუშაკი", 1985 წელი

სტუდენტმა ყურადღება უნდა დაუთმოს საინტერესო კლინიკური შემთხვევების აღწერას და საკუთარი ნაშრომების არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ ზრდას... სასურველია, სტუდენტებმა სამეცნიერო მუშაობა გააგრძელონ ერთი და იგივე კათედრასთან არსებულ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში რამდენიმე წლის განმავლობაში. ერთი და იმავე კათედრაზე მუშაობა სტუდენტს ეხმარება აითვისოს გარკვეული მეთოდიკა, რაც ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებას არჩეულ სპეციალობაში.

პროფესორი
ნუგზარ ტატიშვილი,
გაზეთი „მედიცინის მუშაკი", 1979 წელი

მთავარი, რაც მე მინდა ვუსურვო ჩვენს სტუდენტობას, ესაა მუყაითობა და სწავლისადმი სერიოზული დამოკიდებულება. თავისი ყოველდღიური საქმიანობა ახალგაზრდამ წინასწარ უნდა დაგეგმოს – დაესწროს ლექციასა და პრაქტიკულ მეცადინეობებს, რა წაიკითხოს, ან რა პრქტიკული ილეთი აითვისოს, ლაბორატორიაში იქნება ეს თუ ავადმყოფის საწოლთან; მან მტკიცედ უნდა შეიგნოს, რომ დღევანდელი საქმე ხვალისთვის არ გადადოს, რადგან დაკარგული დროის ანაზღაურება შეუძლებელია; მხოლოდ ასეთი დაბეჯითებითი შრომით შეიძლება გახდეს ის თავისი საქმის კარგი მცოდნე... ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ როგორი სპეციალისტიც არ უნდა იყოთ, პირველ რიგში, ღირსეული მოქალაქე და სამშობლოს პატრიოტი უნდა ბრძანდებოდეთ...

მწამს, რომ ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდები მთელი გულისყურით მოეკიდებიან მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლას და გაღრმავებას და ამით დიდ სამსახურს გაუწევენ სამშობლოს.

აკადემიკოსი ეგნატე ფიფია,
გაზეთი „მედიცინის მუშაკი", 1978 წელი

სიბრძნესა და მედიცინას შორის არავითარი განსხვავება არ არის, მხოლოდ ის იქნება ნამდვილი ექიმი, რომელიც უანგაროდ მოემსახურება ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. იყავით გულისხმიერნი, პატივისცემის გრძნობით განსჭვალულნი უფროსი კოლეგებისადმი, არ მოგერიდოთ თქვენზე გამოცდილისაგან რჩევა-დარიგების მიღება.

პროფესორი ირაკლი ფაღავა,
გაზეთი „მედიცინის მუშაკი", 1974 წელი

„სამედიცინო გაზეთის" რედაქცია
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64 რედაქტორი ლელა მუკბანიანი
კორესპონდენტები დარეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47 ნატო ბოლქვაძე ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu